# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელისმოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 26. სამშაბათი. I. 27 აგვისტოს 1868 წ.



**შინაარსი:** სამღრთო ისტორია.— საოჯახო ცნობები.— შაქრის ნეკერჩხლის ტყე.— ოქროს პოვნა კალიფორნიაში.— ოჯახობისთვის საჭირო ცოდნა.— არითმეტიკა.


## განცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ სოფლის სასამართლოებს, რომელთაც ფული არ შემოუტანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის“ ფასი, მალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ იმან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ფასი ხომ ყველამ იცის, ე ქ ვ ს ი მანეთია.

### სამღრთო ისტორია.

**18. იოსების ძმები ეგვიპტეში მიდიან.**

როგორც იოსებმა სთქვა, სწორედ ისე მოხდა. დადგა შვიდი მოსავლიანი წელიწადი. იოსებმა ამ დროს განმგეობაში მთელ ეგვიპტეში ისე ბევრი პური და სხვა მიწის მოსავალი მოაგროვა, რომ არც იმის აწყვა შეიძლებოდა და არც იმის აწონა. ამ მოსავლიან წელიწადებს შვიდი სიმშილის წელიწადები მოჰყვნენ და პირველსავე წელიწადს ისე გაუჭირდათ ეგვიპტეს მახლობელ ქვეყნებს, რომ დაიწყეს დენა იოსებთან პურის სასყიდლათ. ქანაანის ქვეყანაშიაც აგრეთვე სიმშილი ჩამოვარდა. მაშინ ისრაელმა (იაკობმა) უთხრა თავის შვილებს: „რაღას უყურებთ? ამბობენ, ეგვიპტეში პურსა ჰყიდიანო; წადით და იყიდეთ, რომ სიმშილით არ დავიხოცნეთ“. მამის რჩევა მიიღეს და ათნი ძმანი გაემგზავრნენ ეგვიპტესკენ; ბენიამენი კი მამასთან დარჩა. ეგვიპტეს რომ მივიდნენ, გამოეცხადნენ იოსებს და, როგორც წარჩინებულს სპასალარს, მიწამდის თაყვანი სცეს. იოსებმა მაშინვე იცნა თავისი ძმები, მაგრამ მოექცა იმათ, როგორც უცხო ქვეყნელებს და თითქმის ლაპარაკიც ეგვიპტურათ დაუწყო.— „საიდგანა ხართ?“ ჰკითხა იმათ მოენის შემწეობით.— „ქანაანის ქვეყნიდგანა ვართ“ უპასუხეს იმათ; „მოვედით შენთან პურის სასყიდლათ“. იოსებმა მკაცრად უთხრა იმათ: „თქვენ აქაური გზების გასაშინჯავათ მოხვედით განა?!“— „არა, ჩვენო ბატონო,— მიუგეს შეშინებულმა ძმებმა,— „ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ; სულ თორმეტი ძმანი ვიყავით,— ყველანი ერთი მამის შვილები. ერთი ჩვენ მამასთან დარჩა და ერთი ძმა კი დიდი ხანია აღარა გვყავს.“— „კარგი, მე სულ გავიგებ: მართალს ამბობთ, თუ არა, მიუგო იოსებმა;— გაგზავნეთ ერთ-ერთი ძმა და თქვენი უმცროსი ძმა მოიყვანეთ. დანარჩენნი კი აქ იყავით ტუსაღებად, ვიდრე არ დაამტკიცებთ თქვენს სიმართლეს“. ამას შემდეგ იოსებმა უბძანა იმათი დატუსაღება სამს დღეს. მესამე დღეს გამოაყვანინა საპატიმროდგან და უთხრა: „მე ღვთის შიში მაქვს და ამიტომ ვერიდები კაცის წყენას. ერთი თქვენგანი დარჩეს აქ საპყრობილეში და სხვებმა კი თქვენი ნასყიდი პური წაიღეთ, მაგრამ უმცროსი ძმა კი უნდა უთუოდ მოიყვანოთ, თუ არა— სიკვდილს ელოდებოდეთ!“ მაშინ ძმებმა დაიწყეს ერთმანერთში ებრაულად ლაპარაკი: „შევცოდეთ ჩვენ ღვთისა წინაშე! არ შევისმინეთ ჩვენი ძმის ვედრება და ახლა ზეცამ მოგვაყენა მაგიერი სასჯელი“. იმათ არ იცოდნენ, თუ ის ლაპარაკი იოსებსაც ესმოდა, რომელმაც პირი მოარიდა იმათ და ცრემლები ჩამოყარა. მაინც იმან უბძანა სიმეონის შეკვრა იმის ძმების თვალ წინ და საპყრობილეში ჩაგდება; სხვები კი მამასთან გაუშვა.— როდესაც იაკობის შვილები მივიდნენ შინ, ყოველი ფერი უამბეს თავის მამას, რომელიც ძალიან შეწუხდა და სთქვა: „თქვენ გინდათ, რომ ეს ერთი შვილიც არა მყვანდეს! იოსები დავკარგე, სიმეონი დაატყვევეს; ახლა ბენიამენიც გინდათ წამართვათ! არა, ვერ გაგატანთ ჩემ შვილს! ამასაც შეემთხვევა რამე და მაშინ მწუხარებით სიკვდილისაგან ველარა მიხსნის რა!

**19 იოსების ძმები მეორედ მიდიან ეგვიპტეში.**

იაკობის სახლობას ნასყიდი პური გამოელია და სიმშილი კი უფრო ძლიერდებოდა. სიმშილს რომ გადარჩენილიყვნენ, იოსების ძმები უნდა ისევ გამგზავრებულიყვნენ ეგვიპტეში პურის სასყიდლად. იაკობს ძალიან ეძნელებოდა ბენიამენის მოშორება, მაგრამ უიმისოდ კი ველარ მივიდოდნენ ეგვიპტის სპასალართან. ბოლოს, როგორც იყო, დაჰთანხ-

მდა იაკობი ბენიამენის თან გაყოლებაზე,— და ყველა ძმები გაემზადნენ წასასვლელად; იაკობმა გაატანა იმათ მრავალი საჩუქარი, რაც კი რამე საუკეთესო იშოვებოდა ქანაანში. „შევედრები ღმერთსა ჩემსა, ამბობდა ის, როდესაც ისტუმრებდა და გზას ულოცავდა იმათ,—ვევედრები ღმერთსა ჩემსა, რათა მოწყალეების თვალით მოგხედოსთ თქვენ მეფის კარის კაცმა, გაათავისუფლოს სიმეონი და ბენიამენიც უკანვე დამიბრუნოს!“

ეგვიპტეს რომ მივიდნენ, იოსებმა მეგობრულად დაუწყო იმათ კითხვა: „კარგად არის მამა თქვენი? მოხუცებულია?.. ხომ ცოცხალია? ეს არის თქვენი უმცროსი ძმა?..ღმერთმა გაკურთხოს შენ, შვილო!“—ცრემლებს კი ძლივს იმაგრებდა: ეხლა აღეგზნო იმას ძმის სიყვარული, და რომ ველარ შესძლო, გამოვიდა საჩქაროზედ მეორე ოთახში და ტირილი დაიწყო.

შემდეგ მოიბრუნა გული, დაიბანა პირი და შევიდა იმათთან, მოიწვია ისინი სადილზედ და საჭმელი მოართმევინა; თითონაც იმათთან დაჯდა, თუმცა კი იმ ქვეყნის ჩვეულებისამებრ—იმათგან განცალკევებითა სჭამდა. იოსების ძმები ძალიან განჰკვირდნენ იმაზედ, რომ ისინი დასხეს რიგზედ—ჯერ უფროსი და მერე მომდევნოები.

როდესაც გასტუმრების დრო მოვიდა, იოსებმა დაარიგა თავისი მსახურები, რომ იმათთვის ტომრები ფქვილით აევსოთ და ყველა ტომრებში იმათი ფულები ფქვილთან ჩაეტანებინათ; ამასთან ბენიამენის ტომარაში ფულის გარდა ვერცხლის ბადიაც ჩაედოთ,—ის ბადია, რომელსაც ხმარობდა სადილზედ თვითონ იოსები. როდესაც ძმები წამოვიდნენ, იოსებმა გამოუყენა უკან თავისი მოურავი. „კეთილისთვის ბოროტს რათ აწევეთ კაცს?—დაუყვირა მოურავმა, როდესაც მოეწია იოსების ძმებს. იოსების ძმები ერთმანერთს განცვიფრებით უყურებდნენ, რადგან სულ არ ესმოდათ იმისი სიტყვების მნიშვნელობა.—„რათ მოიპარეთ ჩემი ბატონის ბადია?“ გააგრძელა იმან;—მერე ის, რომელსაც თითონ ხმარობდა ხოლმე?“—„რასა ბძანებ, უფალო“—მიუგეს იმას შეშინებულმა ძმებმა. „ჩვენ ისეთი ხალხი არა ვართ, რომ ეგ საქმე ჩავიდინოთ. სიკვდილით დაისაჯოს, ვისაც ჩვენში ბადია გამოაჩნდეს და სხვები კი მონებათ წაგვასხით. „კარგი—მიუგო მოურავმა—ვისაც გამოაჩნდეს ბადია—ჩემი ყმა გახდეს“. ამ სიტყვებს შემდეგ უბძანა იმათ ტომრების გახსნა და გაჩხრეკა; ბადია იპოვნეს ბენიამენის ტომარაში. სიკვდილის ფერმა გადაჰკრა ძმებს; მწუხარებისაგან შემოიგლიჯეს ზედ ტანისამოსი და დააბრუნეს უკან თავიანთი ჯორები. იოსებთან რომ მოიყვანეს ესენი, იმან დაუწყო სასტიკი ყვედრება. მაშინ იუდა წადგა წინ და უთხრა: „რაღა გვეთქმის ჩვენ გასამართლებლად? ღმერთმა დაგვსაჯა ჩვენ ჩვენი უსამართლოებისათვის! მე ვარ, რომელსაც გამოაჩნდა ბადია და ამისთვის ჩვენ ყველანი უნდა გემონოთ.“ „არა, უპასუხა იოსებმა,—სულაც არა. მხოლოდ ის უნდა მემონოს, რომელსაც გამოაჩნდა ჩემი ბადია; სხვები კი შინ წადით“. მაშინ იუდა ბევრს ევედრებოდა და ეუბნებოდა: „მამა ჩვენთან რომ მივიდეთ და უმცროსი ძმა კი არ მივიყვანოთ,—ის ვერ აიტანს მწუხარებას და ჯავრით მოკვდება. მე ვიქნები შენი მონა, რადგან თავდებად მე დაუდექ მამაჩემს. ამის გამო მე მიმონე უმცროსი ძმის მაგიერად და ეგ კი გაუშვი მამაჩემთან! თუარა ველარც მე წავალ, რადგან ვერ ავიტან იმის მწუხარებას!“ მაშინ იოსებმა ველარ მოითმინა. დაითხოვა ყველა ეგვიპტელნი, დაიწყო ტირილი და დაიძახა: „მე ვარ იოსები!. ცოცხალია მამა ჩემი?!.

ძმებმა ერთი სიტყვაც ველარ უპასუხეს—ისე შეეშინდათ. შიშმა და სირცხვილმა აიტანა ისინი და თითქოს გაქვავდნენო, ისე უძრავად იდგნენ იოსებისწინ. მაშინ იოსებმა უთხრა იმათ: „მოდით ახლო!“—ისინიც მივიდნენ, მაინც სიტყვა ვერ წარმოსთქვეს. „მე ვარ იოსები, გააგრძელა იმან,—თქვენი ძმა, რომელიც მიჰყიდეთ ეგვიპტელებს. მაგრამ ნუ ინაღვლით, რომ გამყიდეთ: ღმერთმა მომიყვანა აქ თქვენი სიცოცხლის დასაფარავად.—წადით ჩქარა მამაჩემთან და უამბეთ იმას ჩემი დიდება; უამბეთ ყოველიფერი, რაც თქვენ აქა ჰნახეთ; წადით ჩქარა და აქ მომიყვანეთ მამაჩემი“. მერე შემოეხვია ბენიამენს და იტირა; ბენიამენიც ტიროდა. შემდეგ აკოცა ყველა ძმებს—და მაშინ იმათ გაჰბედეს იმასთან ლაპარაკი.—ფარაონმა რომ გაიგო იოსების სიხარული, თითონაც გაუხარდა და უბრძანა, რომ იმის მაგიერად მოეწვია იოსებს მოხუცებული იაკობი ეგვიპტეში.

„ნუ კი წაიჩხუბებით გზაზედ“ ეუბნებოდა იოსები თავის ძმებს, როდესაც ეთხოვებოდა და ამითი აგონებდა იმათ, რომ ყველა ძმებს შეუნდო შეცოდება. მაშინ ისინიც სიხარულით დაბრუნდნენ ქანაანის ქვეყანაში.

## 20 იაკობის გადმოსახლება ეგვიპტეში.

„ცოცხალია იოსები! მთელს ეგვიპტეზედ ბატონობს“! შეჰყვირეს იაკობის შვილებმა და ეხვეოდნენ მამას, როდესაც მივიდნენ შინ. მაგრამ ისრაელს არა სჯეროდა თავის საყვარელი შვილის სიცოცხლე. მაგრამ როდესაც უამბეს დაწვრილებით ყველა იოსების ნათქვამი და უჩვენეს იმისგან გამოგზავნილი ეტლები, მაშინ გაიხარა მოხუცებულმა და სთქვა: „ოხ, ბედნიერებავ! ნუ თუ ისევ ცოცხალია ჩემი შვილი იოსები! ერთი მაჩვენეთ მანამ ცოცხალი ვარ!“—იაკობი თავის შვილებით და სარჩო საბადებელით გადასახლდა ეგვიპტეს. იოსებმა რომ გაიგო მამის მოახლოვება, ჩაჯდა ეტლში და გამოეგება გზაზედ. როცა შეჰხვდა—მოეხვია ყელზედ და დიდხანს ჰსტიროდა. „ახლა კი მოსვენებით მოვკვდები,—ეუბნებოდა ისრაელი თავის შვილს,—რადგან შენი სახე ვნახე და მჯერა, რომ შენ ისევ ცოცხალი ხარ!“

იოსებმა წარუდგინა ფარაონს თავისი მამა. „რამდენი წლისა ხარ“ ჰკითხა იმას მეფემ.— „ას ოცი წელიწადია, რაც ქვეყანაზედ დავწანწალებ; მცირენი და ცუდნი არიან დღენი ჩემნი“—მიუგო იაკობმა.

იაკობმა ჩვიდმეტი წელიწადი კიდევ იცოცხლა ეგვიპტეში. როდესაც მოუახლოვდა იმას აღსასრულის დღე, მივიდა იმასთან იოსები და თან მიიყვანა თავისი ორი შვილი: ეფრემი და მანასია. მოხუცებულს გაუხარდა ეს, მოიკრიბა უკანასკნელი ძალი და ღონე, წამოჯდა ქვეშაგებში და უთხრა: „მე შენი ნახვის იმედიც აღარა მქონდა და აი ღმერთმა მაღირსა შენი შვილების ნახვაც“. იოსებმა დააყენა თავისი შვილები თავის მამის წინ, რომ იმას შესძლებოდა იმათ თავზედ ხელის დადება და კურთხევა. იაკობმა მარჯვენა ხელი უმცროსს, მანასიას, დაადო თავზედ, ხოლო მარცხენა—უფროსს, ეფრემს, და ამ გვარად აკურთხა ისინი: „ღმერთმა, რომელსა თაყვანს სცემენ მამანი ჩემნი აბრაამ და ისააკ, ღმერთმა, რომელმა დაიცვა თავი ჩემი სიყრმიდგან აქამომდე, და ანგელოზმან, რომელი მფარვიდა მე ყოველისა ბოროტისაგან—აკურთხოს ღმერთმან ესენი; იყავნ სახელი მათი კურთხეულ და დამა-

შვენებელ სახელთა მამათა ჩემთა აბრაამისა და ისააკისა!“ ამ გვარად იაკობმა დააყენა ისინი თავის შვილებთან ერთ ხარისხზედ, და იმათგან წარმოსდგნენ ისრაელთ ხალხის ორი მუხლი. ამას გარდა იაკობმა იოსების შვილებს უაღრესობაც მისცა, რადგან სთქვა: „გაკურთხებსთ თქვენ ყოველი ერი ისრაელისა მიერ და იტყვიან: ეგრეცა გყოს შენ ღმერთმა, ვითარცა ეფრემ და მანასია“. ამას შემდეგ იაკობმა შეკრიბა თავის სარეცელთან თვისი შვილები და ყველანი თვითოეულად აკურთხა. ყველა თავის შვილებს წინასწარმეტყველებრივ წინადვე უთხრა მათი ჩამომავლობის ბედი, ხოლო იუდას აუწყა, რომ იმის ჩამომავლობიდგან წარმოსდგებოდნენ მეფენი, რომელნი იმეფებდნენ იუდეველებზედა, ვიდრე მესიას მოსვლამდე; შემდეგ დაწვა სარეცელზედ და მიიცვალა.

იაკობი რომ მიიცვალა, იოსებმა და იმისმა ძმებმა თავიანთ მამის გვამი ქანაანის ქვეყანაში წაიღეს; ამათ თან გაჰყვნენ ეგვიპტელთ სეფენი და დარბაისელნი. იაკობის გვამი, ანდერძის ძალით, დაასაფლავეს მამბრის მახლობლად, იმის პაპის აბრაამის საფლავთან.

ეგვიპტეს რომ დაბრუნდნენ, იოსების ძმებს ეშინოდათ, რომ იოსებს მაგიერი არ გადაეხადნა იმათათვის. იოსებმა რომ შეატყო თავის ძმებს ეს შიში, ნუგეშინის სცემდა მათ და ეუბნებოდა: „ნუ გეშინიანთ, მე მახსოვს ღმერთი. თქვენ მოინდომეთ ჩემთვის ბოროტი; მაგრამ ღმერთმა შეცვალა ეს ბოროტი კეთილად, რათა თქვენც და მთელი ხალხი შიმშილისაგან არ დახოცილიყვნენ“. ამ სახით იოსები მშვიდობიანად სცხოვრებდა თავის ძმებთან. ხოლო როდესაც კვდებოდა, უთხრა თავის ძმებს: ის დროც მოვა, როდესაც ღმერთი გაგიყვანსთ თქვენ ეგვიპტიდგანაო, და ანდერძა, როდესაც წავიდოდნენ თავიანთ სამშობლოში, იმისი ნაშთენი ძვლებიც თან წაეღოთ.

## 21. მ ო ს ე.

როდესაც ისრაელი აპირებდა ეგვიპტეში დასახლებას, ღმერთმა მისცა იმას აღთქმა, რომ იმისაგან წარმოსდგებოდა მრავალი ხალხი. ეს აღთქმა აღსრულდა. რამდენიმე საუკუნე რომ გავიდა, იაკობის თორმეტი შვილისაგან წარმოსდგა დიდი ხალხი, ი ს რ ა ე ლ ნ ი, რომელიც იყოფებოდა თორმეტ ნათესავად ანუ მუხლად. იოსების სიკვდილს შემდეგ იაკობის ჩამომავლობას ცუდი დრო დაუდგა ეგვიპტეში. ეგვიპტის შემდეგმა მეფეებმა სრულებით დაივიწყეს იოსების სამსახური. ყოველი მხრით აწუხებდნენ ისრაელთ და აკეთებინებდნენ მათ თვით უმძიმესს საქმეებს, მაგალითათ: იმათ ამუშავებდნენ საზოგადო სახლების აშენებაზედ, აგურს აჭრევინებდნენ და ყველა შემთხვევაში უპატიურად და სასტიკად ექცეოდნენ მათ. შემდეგ-ხანებში ეგვიპტის ერთს ფარაონს (მეფეს) ისეთმა საზარელმა აზრმა გაუელვა თავში, რომ იმან მთელი ებრაელების გაწყვეტა მოიწადინა; ამ აზრის აღსასრულებლად იმან გასცა ბძანება, რომ დაეხოცნათ ყველა ებრაელთ ახლად დაბადებული მამრობითის სქესისა.

ამ დროს ერთს ებრაელს ქალს, ლევიას ჩამომავალს, დაებადა ვაჟი-შვილი, რომელსაც ის ფარაონის მზვერავებისაგან სამი თვე ჰმალავდა თავის სახლში. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ აღარ შეიძლებოდა იმისი დამალვა აიღო პატარა გოდორი, გაფისა, ჩადო შიგ ყმაწვილი და დააგდო წყლის ნაპირას ჩალაში; ამ დროს ფარაონის ქალი მოვიდა მდინარეზედ საბანებლად; იმან დაინახა ჩალაში გოდორი და ერთი თავის გამდელი გაგზავნა იმის მოსატანად. გოდორს რომ ახადეს, ნახეს შიგ მშვენიერი, მტირალი ყმაწვილი. „ეს უთუოდ ებრაელის ბავშვია“ სთქვა ლმობიერმა მეფის ასულმა. მაშინ მოირბინა ამ ყმაწვილის დამ, რომელიც შორიდგან უთვალთვალებდა თავის პატარა ძმას, რომ გაეგო თუ რა მოუვიდოდა იმას,—მეფის ქალთან და ჰკითხა: „ხომ არ მიბძანებ დაუძახო ვისმე ებრაელის დედაკაცს, რომ ეგ ყმაწვილი გაგიზარდოს?“—„დაუძახე“ უპასუხა ფარაონის ქალმა. ყმაწვილის დამ სწრაფად გაიქცა და მოიყვანა თავისი დედა. ამ გვარად, საკუთარი დედავე გაუხდა ამ ყმაწვილს ძიძად. შემდეგში მეფის ქალმა ის ყმაწვილი წაიყვანა თავისთან სასახლეში და ასწავლებინა იმას მთელი ეგვიპტის მეცნიერება. მეფის ქალმა იმ ყმაწვილს დაარქვა მოსე, რომელი გადმოთარგმნილი იქნება „წყლიდგან აყვანილი“.

მოსე გაიზარდა და დავაჟკაცდა, გარნა ებრაელთ შევიწროება არა მცირდებოდა; მწუხარებით უყურებდა მოსე თავის ხალხის უბედურებას. ერთხელ ის გამოვიდა გარეთ და ნახა, რომ ერთი ეგვიპტელი ებრაელსა სცემდა; გული შეუშფოთა იმას ამ სახილველმა, მოკლა ის ეგვიპტელი და დაიხსნა თავისი მოძმე. ეს ამბავი გავარდა მთელ ხალხში და თვით ფარაონამდისაც მიაღწია. მოსეს ემუქრებოდნენ სიკვდილით დასჯას; ამისგამო ის გაიქცა ეგვიპტიდგან მადიამის ქვეყანაში, რომელიც მდებარებდა წითელი ზღვის კიდეზედ, სადაც სხვათა შორის აბრაამის ჩამომავალნიცა სცხოვრებდნენ. აქ ყველაზედ პირველად მოუხდა იმას მძლავრებისაგან სუსტების დაფარვა. შვიდმა ქალწულმა, რომელნიც თავიანთი მამის ფარას მწყსიდნენ, აუზთან მოიყვანეს ცხვრები წყლის დასალევინებლად. სხვა ფარების მწყემსები არ ანებებდნენ იმათ წყალს, და საწყალს ქალწულებს, ვინიცის თუ რა მოუხდებოდათ, თუ მოსე არ წაჰსარჩლებოდა იმათ. ამ შემთხვევამ ის გააცნობა იმ ქალების მამასთან, რომელსაც ერქვა იოფორი და იყო იმ მხარეში მღვდელი ჭეშმარიტის ღვთისა. მოსემ შეირთო ცოლად ერთი იოფორის ქალი, სენთორა, დასახლდა მადიამში და თავის სიმამრის ცხოვრებას მწყსიდა. ამ გვარად მეფის ქალის აღზრდილი, ფარაონის სასახლეში კეთილ ცხვრებს ნაჩვევი გახდა ეხლა მწყემსი უცხო ქვეყანაში.

(შემდეგი იქნება).

---

## საოჯახო ცნობები.

ერთმა ნემეცის მსწავლულმა მეოჯახემ აცნობა პარიჟის აკადემიას *), რომ აბრეშუმის ჭიას ასე უნდა აჭამონ: გაკაფული თუთის ფოთოლი ჯერ უნდა გაშალონ სუფთა ოთახში, იატაკზე ცოტა ზევით გაწყობილ ლასტებზე; იმ ოთახში ჰაერი თავისუფლად უნდა მუშაობდეს და თუთის ფოთოლიც თხლად უნდა გაფინონ, რომ არ ჩახურდეს. განსაკუთრებით იმას უნდა უგდონ ყური, რომ ნედლი ფოთოლი (ბევრი წყლიანი) არ იხმარონ, არამედ ამ გვარად ქარ-გავლილი ფოთოლი იმ დროდგანვე უნდა აჭამონ ჭიას, რა დროსაც გაიღვიძებს. ისევე ნემეცის სწავლული ამბობს: წარსულ ზაფხულში მე შევატყე, რომ სრულებით კარგა მყოფ და ერთი თესლის ჭიებს სხვა და სხვა შედეგი (ბოლო) აქვსთო, თუ ზოგს ნედლი ფოთოლი აჭამეს და ზოგს ზემოთ ნათქვამისავით მომზადებული: რომელთაც მე ნედლი ფოთოლი ვა-

---

*) ა კ ა დ ე მ ი ა—მაღალი ხარისხის სასწავლებელია.

ჰამე, ისინი ადრე დაიხოცნენო და რომელთაც ზემოხსენებულად მომზადებული, ესე იგი ჰაერზედ გამშრალი (ქარგაველილი)-- იმათ კი პარკები გააკეთესო. ამას სხვებიც ბევრნი ამტკიცებენ. ერთ სწავლულს მეაბრეშუმეს 1866 (ჩყჲვ) წლის თხუთმეტს თიბათვეს გამოუვიდა ოცდა ათი კარგად მყოფი ჭია. ამას არ შეეძლო, რომ ყოველ დღეს ახალ. ახალი ფოთოლი ეჭმევინა, ამიტომ რომ ყოველ დღეს ვერა შოულობდა; ამის გამო წყალში შენახული ფოთლით ჰკვებავდა თავის ჭიას. (წყალში იმისთვის ინახავდა, რომ ფოთოლი ბევრ ხანს ჰაერზე ყოფნით სრულებით არ გამხმარიყო). ამ ნაირმა შენახვამ იმისი ჭიები სრულებით დაახარალა. ერთ კიდევ სხვა სწავლულს ჭია ეხოცებოდა და რაკი სხვა ვერა ავადმყოფობა ვერ შეატყო, ამის გამო იმათი ხოცვა მიაწერა იმას, რომ ძალიან ნოყიერს (წყლიან) ფოთოლს აჭმევდა. კიდევ სხვა მეაბრეშუმე ამბობს, რომ ოცდა ათი წლის გამოცდილებამ მაჩვენაო, რომ ჭია რამდენიც ნოყიერ (ყყლიან) ფოთოლს ჰჭამს, იმდენი უფრო დაზარალდებაო, და თუ ჰაერზედ (ცოტა ხანს) გაფენილი ფოთოლი ჭამა, მაშინ კი პარკს გაიკეთებს და პატრონს მოგებასაც მისცემსო.

---

როდის უფრო სჯობია პურის მომკა, ესე იგი ოდოშ-ღერის მომკა სჯობია, თუ კარგა შემოსულისა? ამ საგანზედ დიდი ხანია ლაპარაკობენ ანგლიის მეურნეები და ამბობენ, რომ როგორც ოდოშღერის მომკა არის საზარალო, ისე ძალიან შემოსულის მომკაც არ ვარგა; ორივე შემთხვევაში ცოტაც გამოდის და ცუდი თვისებისაცა. ერთს სამეურნეო გაზეთში სწერია, რომ ერთი ანგლიის მეურნე, უ. ზენნები, ამტკიცებდა, რომ ძალიან შემოსული პურის მარცვალი უფრო მსუბუქია და თვისებითაც მდარეა ორი კვირის წინად (შემოსვლამდის) მომკილ პურზედ. ეს გამოსცადა 1841 (ჩყმა) წ.; იმან გაგზავნა გასასყიდად სამნაირი პური: ერთი რიგი ათს მარიამობისთვეს იყო მომკილი, სულ მთლად ნედლი; მეორე რიგი მარიამობისთვის თვრამეტს იყო მომკილი—ოდოშ-ღერად და მესამე რიგი პირველ ენკენისთვეს იყო მომკილი—ძალიან შემოსული; პირველში მსყიდველებმა მისცეს ქალაქურ კოდში (ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ-მიახლოვებით) ოთხი მანეთი, მეორეში—ოთხი და ათი შაური, მესამეში კი, რომელიც ძალიან შემოსული იყო, ოთხი და ექვსი შაური. ამას შემდეგ უ. ზენნემმა უფრო ვრცლად გამოსცადა, თუ რადროს მომკილს პურს რა თვისება აქვს. მაშინ იმან გაგზავნა გამოყენაზედ სამნაირი ფქვილი; ყველაზედ უკეთესი ის ფქვილი გამოდგა, რომლის ყანაც თოთხმეტი დღით ადრე იყო მომკილი ძალიან შემოსვლამდის; ზასყიდვითაც ეს ფქვილი უფრო კარგად გაისყიდა მეორეებზედ.

შემდეგმა გამოცდამ უფრო ცხადად აჩვენა, რომ ერთსა და იმავე პურს სხვა და სხვა გამოსავალი აქვს, თუ სხვა და სხვა დროს მოიმკო. მოხსებულმა მეურნემ, ზენნემმა, ერთ შემოღობილ ადგილში ხორბალი დათესა და დათესილი ალაგი გაყო სამად; ერთი ნაწილი ოცდა ექვსს მარიამობისთვეს მომკა (როდესაც ხორბალი ოდოშად იყო და ფრჩხილებით ადვილად იჭყლიტებოდა); მეორე ნაწილი ოცდაათს აგვისტოს მომკა (როდესაც ჯერ მაინც ნედლი იყო); ბოლოს, მესამე ნაწილი ცხრა ენკენისთვეს მომკა (როცა მარცვალი ძალიან შემოსული იყო).

შემდეგ ეს სხვა და სხვა დროს მომკილი პურის ხორბალი დააფქვევინა და გამოსცნო, რომ ადრე მომკილი ხორბალი თავიზე გვიან მომკილზე (ორივე რომ ერთი ზომისა ავილოთ), ას წილზედ თხუთმეტ წილს მეტს აძლევს აწყვით, და წონითკი ასსზე რვა წილს მეტს. ეს გამოსავლის განსხვავება წარმოსდგება იმისგან, რომ პური რამდენიც შემოდის, იმდენი სახამებლის რაოდენიმე ნაწილი მარცვლის ქერქათ იქცევა, სწორედ ისე, როგორც ოდოშობას შაქაროვანი ნაწილები შემდეგში სახამებლად იქცევა ხოლმე.

ერთმა მსწავლულმა ჯონსონმა გაჩხრიკა ოთხნაირი ხორბალი და შეატყო, რომ ადრე მომკილ ხორბალს ასსე თითქმის ათი ნაწილი ლორწო აქვს, ძალიან შემოსულ ხორბალს კი ას ნაწილში ცხრა ნაწილზედ ცოტა მეტი აქვს. ჩყმდ წელში ერთმა მსწავლულმა სცადა ისე, როგორც ზევით ნათქვამმა ზენნებმა, და იმის ნაცადიდგან ის გამოვიდა, რომ იმ პურში, რომელიც, სრულდამწიფებამდის მოიმკო, როცა გაჰყიდა—ყველა დღიურზედ თუმანი მეტი აიღო სრულად დამწიფებულ პურზედ. წონის სხვა და სხვაობა, ანუ შემოუსვლელი პურის სიმძიმე და სრულებით შემოსული პურის სიმსუბუქე იმისგან არის, რასაკვირველია რომ ადრე მომკილ პურში უფრო მეტი წყალი არის, ვიდრე გვიან მომკილში. რასაკვირველია, როცა ამბარში ინახვენ პურს, მაშინ წყალი უშრება, მაგრამ რაც უნდა იყოს, ადრე მომკილი პური ძალიან შემოსულ პურზედ კარგი თვისებისაა. ბოლოს, ერთ ნემეცურ სამეურნეო გაზეთში სწერია, რომ პურის ადრე მომკა სჯობია, როგორც კაი თვისებითვის ისე იმისთვისაც, რომ აღარას იზარალებს პურის პატრონი, რადგან მკის დროს აღარ ჩაიმარცვლება (ჩაიპნევა); აგრეთვე ადრე მომკა იმისთვისაც კარგია, რომ მინდორი ადრე თავისუფლდება (მაშ შემდეგი მუშაობისთვის ბევრი დრო რჩება) და კიდევ იმითი, რომ საჭირო აღარ არის ჰაიჰარა მკა, (ცოტა მუშაც შეიძლება იკმაროს, რადგან საჩქარო არა იქნებარა); ამ მიზეზებისგამო არ შეიძლება არ გაჰკვირდეს კაცი თუ რაარის, რომ მომეტებული ნაწილი მხვნელ მთესველთა ყანის მომკას გვიან შეუდგებიან ხოლმე თითქოს ავიწყდებათო. საზოგადოდ ყველას ის ემჯობინება, რომ სრულ შემოსვლამდის ორი კვირით ადრე მომკან ყველა ყანეული: ქერი, პური, აჭარა, ფეტვი და სხვ. მაშინ მომკილი პური უფრო მძიმე გამოდის და კარგი თვისებისაც არის გვიან მომკილზედ.

---

## შაქრის ნეკერჩხლის ტყეები ამერიკაში.

(ფრანცუზის მოგზაურობითგან).

ჩყნგ წელსა, შეერთებულს ამერიკის შტატებში იყო შეკრებილი ნეკერჩხლის შაქარი ორასი მილიონი კილოგრამი. ჩყნდ წელში საქვეყნო გამოფენის დროს იყო რამდენიმე თავი იმ შაქრისაც; კომისიის წევრებმა დაამოწმეს, რომ კარგიაო და გემო იმისი ჰპოვეს სისიამოვნოდ.

ერთი და იგივე ხე აძლევს შაქრის წვენსა ოცის წლის განმავლობაში ზედიზედ. მხოლოდ კაცმა ერთი სიფრთხილე უნდა იხმაროს, რომ არ გახვრიტოს ერთსა და იგივე ადგილსა: გახვრეტილი ბურღისაგან ადგილი მთელდება ისევ ერთს კვირაზედ, შეიძლება ერთმა ხემ მისცეს შვიდი გირვანქა შაქარი ერთ დროს, მაგრამ მაშინ ხე მალე გახმება, და ამიტომ ოთხს გირვანქაზედ მეტს არ ადენენ წვენსა.

საფრანგეთსა და გერმანიაში ცდილობენ ახლა გააშენონ ეს სასარგებლო ამერიკის ტყე; ბოგემიაში გრაფს არემბერგს აქვს ამ გვარი ტყე, დარგული იმისის წინაპართაგან. ეხლანდელს დროს იმ ტყეებში გროვდება შვიდი ათასი ცენტნერი შაქარი და სხვა ალაგს ევროპისას რამდენს აგროვებენ, სწორეთ არავინ იცის.

მთელი დღე ჩვენ ვიყავით ლაპარაკში მხოლოდ შაქარსა და მის აღებ-მიცემობაზედ, მაგრამ მე მწყინდა ისა, რომ ჩემმა სახლის პატრონმა თითქო დაივიწყა სრულებით ნადირობაზედ აღთქმა. ბოლოს მე გავბედე და მოვაგონე ეს.

— მოითმინეთ საღამომდინ და ნახავთ, რა შექცევა გველის ჩვენა, მითხრა მხიარულმა ბერჟერონმა.

მე უცდიდი საღამოს მოულოდნელად. ბოლოს დაბინდდა. როდესაც მუშები ვახშამსა სჭამდნენ, იმ დროს ჩვენ მოგვესმა შორიდამ რაღაც უცხო ხმა. ჯერ შორს ისმოდა ეს ხმა, მერე თან და თან მოახლოვდა და გავარჩიეთ ცხადად, რომ ის იყო ხმა სხვა და სხვა მხეცთა. მაშინ მე ვკითხე ბერჟერონსა, თუ რას ნიშნავდა ესა. პასუხის მაგიერათ ბერჟერონმა გაიწვდინა ხელი ხის წვერისკენ. როდესაც მივაკვირდი ხეს, შევნიშნე, რომ იმ ხეზედ რაღაც შავათ იდვა, ასე რომ მე მეჩვენა ის დიდ მფრინველის ბუდეთ. ესროლე მაგას, მითხრა მე იმან ბოლოს; ეგ ენოტია.

მე ვესროლე და მოვკალი საწყალი დაუდევარი ენოტი. ტყვია მოხვედროდა შიგ გულში. მერე დაუწყეს ყურება სხვა ალაგს სხვა ნადირებსა. დიდხანს არ დამჭირდა ცდა; ყოველის მხრიდგამ მორბოდნენ ტკბილს სავსეს ბოჭკებთან სინჯაფები, ენოტები და სხვა მრავალი მხეცი. იმათი ჭანრჩევა ბნელაში ძნელი იყო, მაგრამ იმათ ღალატობდათ იმათი ელვარე თვალები, როდესაცკი გაახელდნენ თვალებსა და გაანათლებდნენ ცეცხლივით, მაშინ ჩვენ იმათ უმარჯვებდით პირდაპირ თვალებში. ბოლოს ატყდა ისრეთი სროლა, როგორც ომიანობის დროსა. თვით ბერჟერონი, მე და იმისი მუშები წამ და უწამ ვავსებდით ჩვენ კარგს თოფებსა, და იმ გვარი ფანტასტიკური ბნელაში ნადირობა განგრძელდა თითქმის გათენებამდის;ბოლოს ჩვენ დავისვენეთ და მივწვით და ძილშიაც კიდევ შემოგვესმოდა თოფის ხმა ბოჭკების ყარაულებისა.

მეორე დღეს მოვაგროვეთ ჩვენი ნანადირევი და აღმოჩნდა, რომ ჩვენ მოგვეკლა ოცი სხვა და სხვა ნაირი ნადირი, და იმ რიცხვში ერთი საშინელი დათვი.

ამ გვარათ მე გავატარე მთელი კვირა ბერჟერონთან, და ისე გაიარა იმ კვირამ, რომ სრულიად არა გამიგიარა. ყოველს დღეს დავდიოდით სანადიროთ იმ ერთს კვირეში, ხან მარტო და ხან ბერჟერონთან, და საღამოს ვიჯექი ხოლმე ხის ძირში და ვშველოდი მუშებს ღამის ტყის ქურდების ხოცვაში.

როდესაც დავბრუნდით ისევ შიკაგოში, ბერჟერონი მკითხავდა: ხომ არ მოგეწყინათ ჩვენს ტყის საცხოვრებელშიო?

როგორ თუ მომწყენია მეთქი, უთხარი მე იმას; მე ძვირათ გამიტარებია ჩემს სიცოცხლეში იმ გვარი კვირა მეთქი, და ვალი მაქვს შეგწირო დიდი მადლობა ამ გვარის დაუვიწყარის ჩემთვის სტუმრობისათვის მეთქი. თქვენ თითონ მადლობის ღირსი ხართ ჩემგან, მითხრა ბერჟერონმა; მართალია თქვენ კარგათ შეექეცით ნადირობითა, მაგრამ რამდენი შაქარი გადამირჩინეთ მე მხეცებისაგან თქვენის მარჯვე სროლით და იმათის ხოცვითა. ჩვენ თუმცა გვგონია, რომ ყარაულებთ იმ შაქარსა კარგათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხედს ჩვენის შემოსავლისას მაინც ის ტყის ქურდები სჭამენ; მაგრამ მადლობა ღმერთსა, წლევანდელის მოსავლით ძალიან კმაყოფილი ვარ და კარგ ფულსაც ავიღებ.

აბა მითხარით სწორეთ რამთენს აიღებთ წელს თქვენს შაქარში, ვკითხე მე. მოვლა იმ მამულისა არ მიღირს მე არც ერთს კაპეიკათ, და შემომდის წელიწადში შვიდი ათასი დოლლარი (მანეთი).

ეგ ძალიან კარგი შემოსავალია; მართლათ ოქროს ხეები ყოფილან მეთქი ეგ ნეკერჩხლები, უთხარი ბერჟერონსა.

ბოლოს ჩვენ შიკაგოში მეგობრულათ დავშორდით ერთმანეთს. შემდგომში მე შემხვდა ერთხელ კიდევ მისვლა ბერჟერონის დიდს ნეკერჩხლის ტყეებში, სადაც უწინდებულათ ვხოცდით ჩვენ იმ ტყის მხეცებსა, რომელთაც ისე შურდათ ბერჟერონის სიმდიდრე, და ისე დაუპატიჟებლად იდებდნენ წილსა იმის შაქრის შემოსავალში.—

---

## პირველად ოქროს პოვნა კალიფორნიაში.

ყოველმა კაცმა იცის, რომ პირველათ ფრანციის აფიცერმა სუტერნმა გამოაჩინა ოქრო კალიფორნიაში. შემდგომ ივლისის აღრეულებისა ის იძულებული შეიქმნა გაეშვა თავისი სამშობლო ქვეყანა და დასახლებულიყო კალიფორნიაში. ამ აფიცერმა, დიდი ხანი არ არის, რაც გამოსცა მოკლე აღწერა იმაზედ, თუ რა რიგათ მოხდა პირველათ ოქროს გამოჩენა კალიფორნიაში. აი, რა რიგათ იწყებს ის იმის აღწერას:

იენისის თვეში ჩყმჱ წელსა, მე მოვემზადე მიმეწერა წიგნი ერთის ჩემის ნათესავისთვის ლიუცერნში, და ამ დროს უცებ შემომესმა მე ფეხის ხმა და ჩემი მოურავი შემოვარდა ჩემს ოთახში. მე ძრიელ გაკვირებული ვუყავი იმის შემოსვლაზედ, ამიტომ რომ ორის დღის წინეთ ის გამომეთხოვა და წავიდა თავის ხის სახერხს წისქვილში და არ აპირებდა ის იქიდამ მალე დაბრუნებასა! კიდევ უფრო განმაცვიფრა, როდესაც შევნიშნე, რომ ის იყო რიღასგანაც აღელვებული და აღშფოთებული; ის იდგა გაშეშებული, იყურებოდა აქეთ იქით და არ იღებდა ხმასა.

იმისმა დიდხანს ჩუმათ ყოფნამ გამომიყვანა მოთმინებისაგან და ხმა მაღლა შევსძახე: რა დაგმართნია, ხომ არ გაგიჟებულხარ მეთქი?—მართლად ლამის ჭკუაზედ შევიშალო, ისეთი ამბავი ვიცი, მითხრა მე იმან ბოლოს, და კიდევ მიიხედ-მოიხედა; ცდილობდა შეეტყო ყურს ხომ არავინ უგდებდა ჩვენ ლაპარაკსა, და სთქვა ბოლოს თითქმის ჩურჩულით: ურიცხვი საუნჯე! გროვა ოქროსი!

საიდამ, სად, როგორ? შევსძახე მე კიდევ ხმა მაღლად.

აბა თუ გინდათ ახლა უთვალავი ფული, მილიონი დოლლარები, ერთის სიტყვით იმდენი ოქრო, რომ ამ შენს ოთახში არ დაეტიოს.

მე აღარ ვიყავი ეჭვში, რომ მოურავი სწორედ ჭკუაზედ შეშლილი იყო და ბოლოს მოუხდელად გამოუცხადე ეს იმასა. მაშინ იმან გაშალა ხელი და დამიყარა სტოლზედ ერთი მუჭა ოქროს ქვიშა.

მაშინ მე ვგრძნობდი ჩემ თავს ჭკუაზედ შეშლილად; მე უყურებდი იმას, როგორც მისანსა. ბოლოს დაშოშმინდა ის როგორც

იყო, მომიჯდა გვერდით და დაწყნარებით წვრილათ მიამბო ის სასიამოვნო გამოჩენა. აი როგორ იყო ეს საქმეო, მითხრა მე იმან!

მე დავდიოდი იმ მდინარის წყლის პირსა, რომელზედაც კეთდება ჩემი წისქვილი, და ამ გვარად უგდებდი ყურს მუშაობასა, უცებ შევნიშნე, რომ რაღაც ბრწყინავდა მიწაში, რამდენჯერმე მოვინდომე მისულიყავი ახლოს წყლის პირსა და გამესინჯა ის ქვები, რომელნიც ისე ბრწყინავდნენ. მაგრამ მრცხვენოდა ამ ბავშურის გამოძიების მოყვარებისა. ბოლოს ერთს იმისთანას ქვას წამოვკარი ფეხი, ავილე ხელში და დავუწყე სინჯვა კარგათ და დავრწმუნდი, რომ ის იყო ნატეხი წმინდა ოქროსი. იქიდამ მოყოლებული მოვაგროვე იმ გვარი ქვები, რომელიც კი ვიპოვნე მაშინ იმ წყლის პირზედ. ვიფიქრე ისა, რომ ეს ქვები არიან, უთუოთ იმ საუნჯეთაგანნი, რომელნიც ოდესმე დაუმალავთ აქ ინდოელებსა რამდენისამე საუკუნეების წინ. მერე დავუწყე შინჯვა მიწას და აღმოჩნდა, რომ სრულიად ის მიწა შეიცავდა ბევრს ოქროსა. ამ გვარათ გავივსე ჯიბეები იმ ქვებით თუ მიწით, შევჯექ ცხენზედ და აი, ჭენებით მოვედი შენთან და მოგიტანე ეს სასიამოვნო ამბავი.

მაშინ მე ვკითხე იმას, ხომ არავინ იცის სხვამაც ის ადგილი, და როდესაც დამარწმუნა, რომ იმის მეტმა სხვამ არავინ არ იცოდა ის ადგილი, იმავ წამში შევჯექ ცხენზედ, წავიყვანე მოურავი და წავედი წისქვილში. ჩვენ მივედით იქ დაღამების დროს, მაშინვე დავუწყეთ ჩვენის ჯიბის დანებით თხრა მიწასა და მოვაგროვეთ იმდენი ოქრო, რომ ორნივე ვიყავით განცვიფრებულნი და გვეჩვენებოდა ეს სიზმრათ. აღელვებულნი სიხარულით, დატვირთულნი, ჩუმათ წავედით ჩვენ წისქვილისაკენ და იმ დროს უცებ შევეყარეთ გზაში ორს მუშას, რომელნიც მაღლის ხმით ყვიროდნენ, ოქრო, რამდენი ოქრო! შემდგომში შევიტყეთ, რომ ერთს იმათგანს ეგდო ჩვენთვის ყური იმ ღამის მუშაობაში და თითონაც ბევრი ეშოვნა ოქრო, და ეთქვა ეს ამბავი თავის ამხანაგებისათვის, და სიხარულით ველარ დაეცვათ ეს ამბავი საიდუმლოთ. თუმცა მე ვთხოვე იმათ, რომ დაეცვათ ეს საიდუმლო, მაგრამ მეორეს დღეს ეს ამბავი იცოდა ასმა კაცმა, და ოთხის კვირის განმავლობაში იმ ადგილზედ იდგა ოთხი ათასი მუშა და აგროვებდა ოქროს.

ჩვენ აქ უნდა მოვიყვანოთ ორი მაგალითი მას ზედა, თუ ვითარი მოქმედება, ანუ გავლენა, ჰქონდა შემდგომში ოქროს პოვნასა კალიფორნიის მცხოვრებთ ზნეზედ. სანფრანცისკოს ქალაქში მოკვდა ერთი ოქროს მუშა, და რადგანაც ის იყო ყველასაგან პატივცემული, მოინდომეს იმისი დამარხვა მდიდრულათ. აღსასრულებლად დამარხვის წესისა მოიწვიეს მეზობელი ოქროს მუშა, რომელიც ოდესმე ყოფილიყო გამოჩენილი პასტორი და მქადაგებელი შეერთებული ამერიკის შტატებში. შემდგომ ანდერძის აგებისა, წაიღეს მიცვალებული სასაფლაოზედ, რომელიც იყო ას ნაბიჯზედ. ანდერძის ამგები მოჰყვა ქადაგებასა, რომელსაც ხალხი ისმენდა ჯერ დიდის ყურადღებით; მაგრამ რადგან ის ქადაგება აღმოჩნდა ერთობ გრძელი და მოსაწყენი, ბევრნი იმათგანნი, გამოსული მოთმინებისაგან, დასდგნენ გარეშემო კუბოსა მუხლზედ და დაუწყეს სინჯვა-სრესა ხელით იმ მიწას, რომელიც იყო საფლავიდამ ამოყრილი. იმ მიწაში აღმოჩნდა მრავალი ოქრო, და შეიქნა რაღაც მღელვარება ჰაფაგეგის მსმენელებში. მქადაგებელმა შენიშნა ესე, განწყვიტა ქადაგება და ჰკითხავს, შვილნო, რა ამბავია, რა არის ეგა, მგონია ოქროა, განა ოქროა, შვილებო? ოქროა, ოქრო, შესძახეს იმას ერთ ხმათ და იმავ წამს ამოიღეს რამტენისამე წამის წინ იქ ჩადებული კუბო და ჩასდევეს სხვას ადგილს უცებ ამოთხრილს საფლავში, და ის ადგილი პასტორის ხელთმძლევანელობას ქვეშ დარჩა. შეუდგა იმავ წამს ოქროს ხარბი ხალხი და ამოჰქონდათ უხვათ ოქრო ამ ახლის მადნისაგან.

აი მეორე მაგალითი: ერთი მატროსი (ხომალდის სალდათი) წავიდა მადნებში, და ერთის წლის შემდგომ დაბრუნდა და მოვიდა საკრამენტოში ორის ოქროს ქვიშით აკიდებულის ჯორით და იმან არ იცოდა რა ექნა, ან როგორ მოეხმარა ის ოქრო. ყოველს კაცს, ვისაც კი შემოეყრებოდა, ჰპატიჟობდა ჩინებულს საუზმეზედ, მაგრამ ეს ეჩვენებოდა იმას ცოტათ, მაშინ იმან იყიდა ერთს დროს ექვსი ძვირფასი ოქროს საათი, თითო ას დოლლარათ, მერე აიღო დიდი ქვაბი, გაავსო ის ლორის ქონით, გაიტანა პირველს საკრამენტოს ქუჩებში, შეუკეთა ქვეშ დიდი ცეცხლი, მერე დაამტვრია წვრილათ ის საათები და ჩაყარა ადუღებულს ლორის ქონში. რამდენიმე ათასი კაცი იდგა გარეშემო ქვაბისა, იცინოდა და არ უკვირდა კი ეს უგუნური ქცევა მატროსისა, ამიტომ რომ ისივე ხალხი არა ერთ გზის ყოფილა მოწამე მრავალჯერ ამ გვარის უგუნურებისა კალიფორნიის მცხოვრებთ შორის.

---

## ოჯახობისთვის საჭირო ცოდნა.

ჭერამის შარბათი.—ოცდა ოთხის ჭერმიდგან კურკები ამოიღეთ, ჩალის ჯამში ჩაყარეთ და დაასხით მჟავე რამ წვენი ხილისა, სამი საათი ისე იდგეს. შემდგომ ერთი სტაქანი თბილი წყალი დაასხით, მერე ციცხვით მოზილეთ ეს ჭერამი ისე, რომ თხელი ქამასავით იყოს. მერე ცხრილში გასწურეთ, და რაც ტყავები ცხრილში დარჩეს, ჩაყარეთ წყალში. სადაც უნდა კურკები ეყაროს, აურევენ ერთმანერთში კარგათ. ნახევარს საათს ასე უნდა იყოს, მერე გასწურევენ და შემდგომ ამ კურკის გულს გახეხენ ბარქასში, და გაურევენ ზემოხსენებულ ქამაში.—ამასვე დაასხმენ ერთ სტოლის-კოვზს აპელცინის ყვავილის წყალსა.

კოწახურის შარბათი. ოთხ გირვანქა კოწახურს დანაყავთ ფილში ორ ბოთლ წყალს დაასხამთ, ერთ საათს დააცლით, შემდგომ გაჰსწურავთ ორ გირვანქა შაქარს უზამთ.

შარბათები ასევე გაკეთდება: ალუბლისა, ყურძნისა, მარწყვისა, ჟოლისა, ატმისა, როგორც ჭერამისა.

შარბათი ვარდისა.—ერთ ბოთლ ყურძნის წვენში გახსენით ჰიაფერი, მაგრა დაუცეთ. ერთი დღე ისე იყოს, ხანდახან გააჭანჭყარეთ, შემდგომ ამაშივე გახსენით ორი გირვანქა შაქარი,—და შემდგომ დაასხით ნახევარ გირვანქა ვარდის წყალი.—

არაყი ბოგრისა. ბოგრა გაფცქვენით, თესლი გამოართვით, წვრილად დასჭერით, ქვაბში ჩაჰყარეთ, ნახევარი წყალი დაასხით და მოხარშეთ. როცა გარბილდეს და დაიჭყლიტოს, აურიეთ ქერის ალაო. ერთათ ამოჰყლიტეთ, ერთ ვედრა გოგრის ხორცს სამსამი გირვანქა ალაო უნდა, ჩაჰყარეთ კასრში დაასხით წყალი, დაახურეთ კასრს თავი ნახევარ საათს ასე გაუშვით, მერე ურიეთ ასე, რომ მურკლები არ დარჩეს, მერე დაუმატეთ ცივი წყალი, გააცივეთ, ჩაასხით არაყის დედა, აადუღეთ და გამოხადეთ ორჯელ.—

## ნალივკები, ვოდკები, რატაფია და ლიქორები.

**ნალივკა მარწყვისა.** მარწყვი ჩაყარეთ ბოთლში, რაც ჩაეტევა, არ უნდა გაიტენოს, გაავსეთ კარგის დაწმენდილის ოტკითა ან სპირტითა, თუ გინდათ რომ ნალივკა მაგარი იყოს.—ნახევარ წელიწადს ასე იდგეს, შემდგომ გადმოსწურევენ და დანარჩენს გამოსწურევენ, ამ წვენში შაქარს უზმენ, როგორც იგემოვნებენ. გასწურევენ საწურავ ქალალდში, ნალივკა მზათ იქნება. აგრეთვე გაკეთდება სხვა მარცვლიანი ხილისა, თუთისა, ყურძნისა, სმაროდინისა, რიაბინისა, კლუბნიკისა, (ენდროსი), ალუბლისა.

**ჭერამისა ანუ ატმის ნალივკა.** ჭერამს, ანუ ატამს დასჭრიან წვრილად, კურკას ამოიღებენ, დაამტვრევენ და გული უნდა დანაყონ კოდში; მერმე ჭერამს, ანუ ატამს ხორცთან გულს დანაყილს ჩაჰყრიან ბოთლში და დაასხმენ დაწმენდილს ოტკას, ანუ სპირტსა, მოუმატებენ მცირეს დარიჩინს და მიხაკს. დაუცმენ ბოთლს და დასდგმენ ოთახში. ერთ კვირა ანუ სამი, ყოველ დღე ბოთლი უნდა გააჭანჭყალოთ, როდესაც ნალივკა დაიწმინდება, მაშინ უზმენ შაქარს და შეატკბილებენ, როგორც ენებებათ.

**მსხლის ოტკა.** ძალიან დამწიფებული მსხალი ოთხათ გასჭერით, გაახმეთ მზეზედ, მერე ფეჩში, შემდგომ ჩაყარეთ ბოჯკაში ან სხვა რამეში დაასხით დაწმენდილი და შემთბარი ვოტკა ან სპირტი, დაუცეთ კარი, გადააფარეთ და ექვსი კვირა მიწაში ჩაფალით.— მერე დადგით მარანში და გადაიღეთ ბოჯკიდან ბოთლებში.

**ვაშლის ოტკა.** მწიფე ტკბილი ვაშლი ანუ მჟავე, მწარე არ იყოს, მზეში დააჭკნეთ, მერე დასჭერით და დიდ ბოთლში ჩაყარეთ, დაასხით დაწმენდილი ვოტკა, ორი ან სამი თვე დააცალეთ, მერე გადაიღეთ ბოთლში და თითო ბოთლში თითო ჩაის კოვზი შაქარი წაჰყარეთ, დაუცეთ თავსა და მარანში დააწყეთ. მსხლისაც ასე გაკეთდება.—

**მჟოლის (თუთის) ოტკა.** მჟოლის წვენი სამი შტოფი, ალუბლისა ბოთლ ნახევარი და ექვსი გირვანქა შაქარი, გაადნეთ ამათ წვენში, სპირტი დაასხით ექვსი შტოფი, აურიეთ დაანებეთ, რომ დაიწმინდოს, გაწურეთ და ბოთლებში გადაასხით.

**სიროპი გასატკბილებლად ნალივკებისა.** სამი გირვანქა შაქარი მოხარშეთ ერთ შტოფ წყალში. ხადეთ ქაფი, მანამ აღარ ექნება. მერე გააციეთ და ორი კვირა დააცალეთ, ეს სიროპი უყავით ნალივკებს, ოტკებსა; მეოთხედი უნდა ჩაასხათ, რაც ოტკა იქნება.—

**ფერის მიცემა ოტკებისა.** ალის ფერი და ყირმიზის ფერი. ერთი მისხალი ჭიაფერი დანაყეთ წმინდათ, და ხარშეთ ქვაბში ერთ შტოფ წყალში. და უყავით ერთი მისხალი ღვინის მარილი კრემოტარტარი (აფთიაქში იკითხეთ) დადევით. რომ დაწნდეს გაწურეთ და შეინახეთ. ამითი მისცემთ ალის ფერს. ღვინის მარილის მაგიერ თუ სანდალს უზამთ ჭიაფერში, კიდევ სხვა ფერი იქნება.

**მწვანე ფერი.** მწვანე ფერს აძლევს შავი სმაროდინის ფოთლები რომ ჩაყაროთ ვოტკაში, ნიახურის ფოთლის წვენი და ხახვის ფოთლების წვენი. გარეცხეთ, ჩააწყეთ თბილ წყალში, წამოადუღეთ ორჯერ, მერე ამოიღეთ ცივ წყალში, ჩაყარეთ, მერე გაწურეთ ტილოში, წამოადუღეთ წვენი ვერცხლის ჩამჩაში, მანამ ნახევრათ ადუღდება. ეს წვენი იქნება მწვანე და შეღებეთ ოტკა.

**ყვითელი ფერი.** ზაფრანა გაჭქენით, ან დააყენეთ სპირტში, გაყვითლდება.—აპელცინიც გააყვითლებს.

**ნელი წითელის ფერი.**—სპირტში ჩაყარეთ მწვანე სანდალი, ან ბრაზილიის ხე. რომ გამოსცეს, გაწურეთ და ცოტ-ცოტა დაასხით ოტკას, მანამ ეს ფერი მიეცემოდეს.

**ვოტკა ანკერმანისა.** რვა მისხალი დარიჩინი 2 მისხალი იასამანი, ლიმონის ქერქი 31 მისხალი, ილი ამდენივე დანაყეთ, დაასხით სამი ბოთლი სპირტი, ერთი კვირა ისე იდგეს თბილს ალაგას; მასუკან გადაასხით სხვა წმინდა ჭურჭელში.—ამავე დროს ორ ბოთლ წყალში მოხარშეთ ორი გირვანქა შაქარი. ქაფი ხადეთ, მერე აურიეთ ზემოხსენებულ სპირტში.—ბოთლებში გადაიღეთ და ყოველ ბოთლში სამ-სამი ფურცელი ვარაყი ჩააგდეთ.

**ანისულის ოტკა.**—დაფშვნიტეთ წმინდა პარაშოკათ ნახევარ გირვანქა ანისული ახალი, ერთ ვედრა დაწმენდილ უბრალო ვოტკაში ჩაყარეთ. ერთი თვე იდგეს. მერე გამოხადეთ ასე, რომ 7-ი ან 8 შტოფი სპირტი გამოვიდეს.—მერე გაუკეთეთ 4-ი გირვანქა შაქრის სიროპი, ერთ ბოთლ წყალში მოხარშეთ, აურიეთ სპირტში.—ამ ოტკას თეთრი რძის ფერი ექნება, ერთი კვერცხის ცილა ჩააგდეთ და აჭანჭყარეთ რამდენიმე დღე, მერე დაწნდება და გადაწურეთ.—

**თეთრი კუჭის გასამაგრებელი ოტკა.**

ერთ ვედრო უხრაკო წმინდა ვოტკაში ჩაყარეთ პიტნა, სალბი და ანისული თითო გირვანქა—კალლანი (калганъ) და კოჭა მეოთხედი გირვანქისა, სამი კვირა ისე იდგეს თბილათ, ყოველ დღე აჭანჭყარეთ.—მერე გამოხადეთ ჩაბში, და თუ გაქვთ გასაწურ ქალალდში გაწურეთ—

**მიხაკის ოტკა.** ნახევარ ვედრო კარგს ოტკაში ჩაყარეთ 20 მისხალი მიხაკი, ორი კვირა ასე დადგით, მერე ქვაბში ჩაასხით ერთი გირვანქა მიხაკი მოუმატეთ და გამოხადეთ კიდეცა.

**მალოროსიული ზაპეკანკა.**—ნახევარ ვედრა ჩაასხით დიდ ბოთლში სპირტი. და ჩაყარეთ იმაში: დარიჩინი 12 მისხალი, მიხაკი ოთხი მისხალი, ბადიანი 5 მისხალი, ჯავზის ყვავილი 1 მისხალი, ორი კაკალი ჯავზისა,—ესენი წმინდათ უნდა იყოს დანაყილი.—ბოთლი დაუცეთ მაგრა, შემოახვიეთ წმინდა ტილო, შემოაკარით ცომი ერთი თითის სისქე, და შედევით ფეჩში, რომელიც განელებული იყოს, მოთბო. 4 ლამე იყოს; დილით გამოიღეთ და აჭანჭყარეთ; შემდგომ ოთხის დღისა გადმოსწურეთ სიროპი ბოთლებში ჩაასხით, თითო ბოთლში თითო გირვანქა შაქარი უყავით სიროპათ გაკეთებული.

**კარდინალის ოტკა.** წვრილად დასჭერით სამი აპელცინი, მოუმატეთ იმას ექვსი მისხალი მ ე ლ ი ს ა, 1 მისხალი ჯავზის ყვავილი, ესენი ჩაყარეთ ერთ ბოთლ სპირტში, ორი კვირა ასე იდგეს. მერე გადმოსწურეთ, შაქრით გაატკბილეთ, რომელშიაც სამი წვეთი ეფირის ზეთი, აპელცინის ყვავილი (Ефирное масло) დაუმატეთ, ნახევარი ბოთლი წყალი და ერთი სტაქანი აპელცინის წყალი. გაწურეთ და ბოთლებში ჩაასხით.—

**ლიმონის ოტკა.** 50 ლიმონი გაფცქვენით, ქერქი შემოაცალეთ, ეს ქერქი წვრილად დასჭერით, ერთი ვედრო დაწმენდილი უხრაკო ვოტკა დაასხით, ერთი თვე დადგით ასე.—მერე უყავით ერთი გირვანქა შაქარი, ორი კვირა დააცალეთ, მერე გაწურეთ და ბოთლებში ან ერთ დიდ ბოთლში შეინახეთ.

ნუშის ვოტკა. ნახევარ გირვანქა ნუში, ქერმის ანუ ატმის კურკის გულის მეოთხედი გირვანქისა, ნახევარ მისხალი დარიჩინი და ოთხი გირვანქა შაქარი,—ესენი წმინდათ დანაყეთ, ჩაყარეთ დიდ ბოთლში, დაასხით ხუთი ბოთლი უხრაკო ვოტკა, სამი კვირა იყოს სე, მერმე გაწურეთ მაუდის ნაჭერში და ბოთლებში გადაასხით.

პიტნის ვოტკა. გამხმარი პიტნა ოთხი მუჭა ხუთ ბოთლ ვოტკაში გამოხადეთ, მერე უყავით სამი გირვანქა შაქარი, ერთ ბოთლ ჭყალში სიროპათ მოხარშული და გაწურეთ.

ატმის ვოტკა. ერთ ვედრა წმინდა და უხრაკო ვოტკაში ხუთი გირვანქა ატმის ფოთოლი ჩაყარეთ, დადგით თბილათ სამი კვირა, რომ გამოსცეს, შემდგომ გამოხადეთ, ეცადენით მღვრიე არ შეატანოთ ვოდკა, მერე ატმის კურკის გული და მწარე ნუში თითო გირვანქა დანაყეთ რამეში, გახეხეთ, გაწურეთ საცერში, აურიეთ გამოხდილ ოტკაში, ორი კვირა ასე იყოს, შემდგომ საწურავ ქაღალდში გამოწურეთ.—

2.) ატმის კურკის გული და მწარის ნუშის გული ორ-ორი გირვანქა დანაყეთ, ნახევარ ვედრა ოტკა დაასხით უხრაკო, ორი მისხალი დარიჩინი უყავით, ერთ კვირას დააყინეთ, დაუმატეთ ექვსი გირვანქა შაქარი და ნახევარ ბოთლი წყალი, და ცოტა აპელცინის ყვავილი.

---

## არითმეტიკა.

### რიცხვი ოცი.

როგორც რიცხვში თორმეტში ვარჯიშობდნენ ყმაწვილები, ეგრეთვე უნდა იწყონ ვარჯისობა შემდეგ რიცხვებშიაც თორმეტიდგან დაწყებული, ცამეტი ანუ ათ სამ მეტი, ათ ოთხ მეტი (თოთხმეტი),—ხუთ მეტი (თხუთმეტი), ექვს მეტი ანუ თექვსმეტი,—შვიდ მეტი ანუ ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრა მეტი და ოცი.

მხოლოდ მასწავლებელმა არ უნდა დაივიწყოს სხვა და სხვა ზომების დასწავლებინება. მაგალითად: საჟენს აქვს შვიდი ფუტი. ფუტი არის ცოტათ მტკაველზე მეტი, რომლითაც იზომება საჟენი. ეს ზომა არის ანგლიელებისგან შემოღებული. ფუტსა აქვს თორმეტი დუიმი. აგრეთვე როცა რიცხვს თექვსმეტს განიხილვენ, ყმაწვილებს, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ არშინს თექვსმეტში ვერშოკი აქვს და სხვ.

---

ცხრამეტს რომ ერთი მიუმატო შეიქმნება ოცი? ცხრამეტს რამდენი აკლია ორ ათეულამდის?—ერთი.—ერთი და ცხრამეტი რა იქნება? ორი ათეული ანუ ოცი.—ოცი შესდგება ათი და ათისაგან, ანუ ორი ათისაგან. ოცი გირვანქა რამდენი ბათმანია?—ერთი ბათმანი. ორმა ძმამ იყიდა ერთი თავი შაქარი, რომელიც იწონიდა ერთს ბათმანსა; ერთს ერგო იქიდგან თორმეტი გირვანქა, მეორეს რა დარჩებოდა?—სანდროს უნდა თავისი მტრედები ოცათ გახადოს, თითონა ჰყავს ცამეტი და ბიძა კიდევ სამს აძლევს, რამდენი უნდა იშოვნოს კიდევ? სახლის თავზე ყვავები ისხდნენ, ექვსი გაფრინდა და ცოტას ხანს შემდეგ ისევ ხუთმეტი მოფრინდა და შეიქმნა ოცი ყვავი, რამდენი მჯდარა წინათ სახლის თავზე.

აი, როგორი ვერცხლის ფული მოგცე! ამას ჰქვია აბაზი. ამაშია ორი უზალთუნი, ან ოცი კაპეიკი. აბა ერთი აბაზი ოთხ ფულში გამიცვალე, თითო ფული რამდენიანი უნდა იყოს?—მაშ ეხლა ათ ფულში გამიცვალე, თითო რამდენიანი იქნება?—ერთი აბაზი დავშალე ოთხ მეტ-ნაკლებ ფულად, გამოიცან რამდენიანებია?—ერთმა მუშამ თვეში 20 მანეთი მოიგო, მეორემ სამი მანეთით ნაკლებ, პირველი მუშის ნახევარზე; რამდენი უშოვნია მეორეს?

---

დაითვალე 1-დგან 20-მდე (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, . . . .) გაჩერდი! მერამდენე ათეულს ითვლი?—პირველს ათეულსა. განაგრძე თვლა. (10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17...) გაჩერდი! (ყმაწვილი მიუგებს: მე ახლა ვითვლი მეორე ათეულსა და დავითვალე ერთი ათეული და 7 ერთეული მეორე ათეულისა. მეორე ათეულს სამი ერთეული აკლია).—აბა განაგრძე თვლა (18, 19, 20). გაჩერდი! რამდენი დაითვალე?—ოცი, ანუ ორი ათეული.

როდესაც ყველა ყმაწვილები გაათავებენ თვლას ამ რიგათ და რამდენჯერმე გააწყვეტინებს თვლას მასწავლებელი, რომ კითხვით დარწმუნდეს ისა, იციან თუ არა ყმაწვილებმა, რომელს ათეულს ითვლიან, შემდეგ შეადგენინებს ამ გვარს სქემებს ფიცარზე.

$^{1}/_{2} \times 20 = 10$ (ნახევარი ოცისა ათია)
$^{1}/_{4} \times 20 = 5$ (მეოთხედი ოცისა ხუთია)
$^{1}/_{5} \times 20 = 4$ (მეხუთედი ოცისა ოთხია)
$^{1}/_{10} \times 20 = 2$ (მეათედი ოცისა ორია)
$^{1}/_{20} \times 20 = 1$ (მეოცედი ოცისა ერთია).

ოცი თავი კიტრი დუჟინებათ გადააკეთე.—ოცი მისხალი ლოტებათ,—20 ფუტი საჟენებათ.—20 თვე რამდენი წელიწადია?—20 დღე რამდენი კვირაა.—20 არშინი რამდენი საჟენია.—20 ვერშოკი არშინებათ გადააკეთე;—20 ვერსტი რამდენი მილი გამოდის? ერთს მილში შვიდი ვერსია. ბოთლი ღვინო რომ უზალთუნათ ღირდეს, აბაზათ რამდენი ბოთლი მოვა?—ერთი საზამთრო რომ შაურათ ღირდეს, ოთხი საზამთრო როგორღა ეღირება? სამი ხის კოვზი ღირს ორშაურათ, ექვსი როგორღა ღირს.—ორმა მგზავრმა წამყვანთ ოცი მანეთი უნდა მისცენ, ერთმა რამდენი უნდა მისცეს?—ერთმა იყიდა ორი ათეული ვაშლები, იმავე დღეს მეხუთედი დახარჯა, მეორე დღეს დანარჩენის მეოხედი, რამდენი დარჩა?—20 აგურში, მეაგურემ მოიხმარა ნახევარი, მეოთხედი და მეათედი ყველა აგურებისა. რამდენი დარჩა?

---

ორი ათეულის მაგიერათ იტყვიან ოცსა, აგრეთვე სამი ათის ან ათეულის მაგიერათ იტყვიან ოცდაათსა. ოთხი ათეულის მაგიერათ ორმოცს იტყვიან. შემდეგ ხუთი ათეულის მაგიერათ ორმოცდა ათს, ექვსი ათეულის მაგიერათ სამ ოცეულს ან სამოცს. შვიდ ათეულის მაგიერათ სამოც და ათი, 8 ათეულის მაგიერათ ოთხი ოცეული, ან ოთხმოცი. ცხრა ათეულის მაგიერათ,—ოთხი ოცი და ათი ან ოთხმოცდა ათი; ათი ათეულის მაგიერათ ასი. ჩვენ გვაქვს ოცეულობით თვლა; სხვა განათლებულს ქვეყნებში კი ათეულობით ითვლიან. როდესაც ფულზე მივა საქმე, ჩვენშიაც ათეულობით, ანუ თუმნობით ითვლიან. მაგალითად ორიოცი, ან ოთხი თუმანი, ხუთი თუმანი ან ორმოც და ათი. ჩვენც რომ ათეულობით გვქონდეს თვლა ემჯობინება, ამიტომ რომ ანგარიში ბევრათ გაადვილდება.

მასწავლებელმა უნდა დააწყებინოს ყმაწვილებს თვლა 20-დგან ოცდა ათამდე, ორმოცამდე და სხვ.)

რადგან სწავლება შემდეგი რიცხვებისაც იგეთივე უნდა იყოს, როგორც აქამომდე, ამისთვის მასწავლებელთა უნდა განაგრძონ იმ გვარივე სწავლება. საჭირო აღარ არის სხვა რიცხვების ვარჯისობის ბეჭდვა, რადგან თვითონ მასწავლებელნიც ადვილათ განაგრძობენ სწავლებას, თუ ცოტაც არის, იმ სწავლების რიგს მიხვდნენ, რომელნიც აქამომდე ვუჩვენეთ.

ბოლოს ესეც უნდა შევნიშნოთ:

როგორც დასწავლული რიცხვები, შემდეგნიც ისე უნდა ასწავლონ მასწავლებლებმა, მხოლოდ ეს არის, რომ სწავლება უფრო დაჩქარებული იქნება, რადგან ერთ დროს სამი და ოთხი სხვა და სხვა რიცხვი უნდა განიახლონ ერთად. ამასთანავე მასწავლებელი არის როგორ უნდა მოიქცეს: ის ან ყველა რიცხვებში ერთ დროს უნდა ავარჯისებდეს ყმაწვილებს იმისგან მოგონებულის ტემების მიცემით, ან ერთი უფრო მრავალ გვარათ სავარჯისებელი რიცხვი მისცეს მოწაფეთა შინ დასასწავლათ და ტემების შესადგენათ და იმათისავე გამოსაცნობათ ან ასახსნელათ.

ერთიც უნდა ვთქვათ, რომ აჩქარება და გამოშვება რისამე სავარჯისებელისა არ ივარგებს და რიგიც არ არის. ამისთანა ხტუნვა სულ წაახდენს საქმეს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го августа, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.